საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№50 (6276) სამშაბათი 24 აპრილი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

მიწა, გლეხი და მომავალი

დღეს დიდი სჯა-ბაასი მიმდინარეობს მიწის საკუთრების შესახებ. ზოგი ამტკიცებს, რომ მიწის იჯარამ კარგი შედეგი გამოიღო ამ გზით მეურნეობებში გაიზარდა პროდუქციის წარმოება, გაუმჯობესდა ხარისხი, შემცირდა თვითღირებულება. მეორენი გაიძახიან, გავაუქმოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობა და გადავიდეთ გლეხურ მეურნეობაზე. ეს აზრი განვითარდა ახლახანს საზოგადოებრივი მეურნეობების საანგარიშო კრებებზეც, სადაც მშრომელებმა პრინციპულად დასვეს საკითხი კოლმეურნეობების გაუქმების და მათ ბაზაზე გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბების შესახებ.

ამ დღეებში რესპუბლიკურ პრესაში და რაიონულ გაზეთშიც გამოქვეყნდება გლეხური მეურნეობების განვითარების შესახებ დროებითი დებულება, უკვე იბეჭდება და დაურიგდება საზოგადოებრივ მეურნეობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული მიწის სარგებლობის შესახებ აქტები.

აღნიშნული დებულება არეგულირებს რესპუბლიკაში გლეხური მეურნეობების საქმიანობის ძირითად ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ პირობებს. იგი ხელს შეუწყობს სოფლად სოციალისტური წარმოების ძირითადი საშუალების რაციონალურად აღდგენას, გლეხის ინტერესების გაზრდას პროდუქციის წარმოების გადიდებით და მისი ხარისხის გაუმჯობესებით.

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ოჯახური იჯარა მეტი პროგრესული ნაბიჯია საზოგადოებრივ მეურნეობათა განვითარებისათვის, მაგრამ იმასაც ყველა კარგად უყურებს, რომ საკოლმეურნეო წყობამ ყველგან არ გაამართლა. ზოგიერთი მანკიერი ტრადიციების გამო მეურნეობებში ზოგიერთი დარგის განვითარებას და პროდუქციის ზრდას იჯარის დანერგვითაც ვერ მივაღწიეთ, რადგან მიწა, რომელიც ხელშეკრულებით გადავეცით გლეხს, მაინც ვერ გაითავისა, რადგან სამემკვიდრეო უფლება მასზე არ გააჩნია.

გამოსავალი? გლეხური მეურნეობა. სადღეისოდ ალბათ ერთადერთი სწორი გამოსავალი მხოლოდ ეს არის. წინათ ოქროთი ყიდულობდა გლეხი მიწას და თავსაც ირჩენდა და სხვასაც. თუ კვლავ დავუბრუნებთ, რაც წავართვით, შეუძლებელია არ უერთგულოს, ბარაქა და დოვლათი არ დააგროვოს.

რაიონის მეურნეობებში უკვე გატარდა რიგი მოსამზადებელი სამუშაოები გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისათვის, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის. შეიძლება ითქვას, ზოგან არასწორმა პროპაგანდამ გლეხური მეურნეობების წინააღმდეგ, დაბნია გლეხობა, თითქოს გლეხურ მეურნეობაზე გადასვლით რაღაც კანონსაწინააღმდეგოს აკეთებდეს, ვიღაცას ეწყინება, ზოგან ისეთი ჭორიც კი გავრცელეს, თითქოს საკოლმეურნეო მიწები უნდა დაუბრუნდეს იმათ, ვისაც წინათ ეკუთვნოდა და სხვა. ამიტომ ვერ გადაუწყვეტია გლეხობას როგორ მოიქცეს. არადა დრო მიდის, ვენახებისა და ბაღების დიდ ნაწილში გვიანდება სამუშაოების ჩატარება.

გლეხურ მეურნეობაზე გადასვლისას მიწების განაწილების კრიტერიუმი უნდა გახდეს ამჟამად არსებული საიჯარო მიმაგრება, საკარმიდამო მიწის ფართობების ოდენობის გათვალისწინებით, ზღვრულ ფარგლებში ცალკეული სოფლების თავისებურებათა მიხედვით.

კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა შეუძლია ყველა ინდივიდს წერილობითი განცხადების საფუძველზე, ამასთან გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა შეუძლიათ ინდივიდებს კოლმეურნეობის დარჩენის შემთხვევაშიც.

ახლა საჭიროა სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა მეტი ახსნა-განმარტებითი მუშაობა აწარმოონ გლეხობასთან, დაინტერესონ მეურნეობრიობის ამ ახალი ფორმით და ყოველგვარი გაჭიანურებისა და დაბრკოლების გარეშე გაუფორმონ შესაბამისი აქტი, მიუზომონ ვენახი თუ ბაღი, სასიმინდე თუ საძოვარი და გაუწიონ პრაქტიკული დახმარება გლეხური მეურნეობის განვითარებისათვის.

საგაზაფხულო სამუშაოები გაზეთ „ლეჩხუმის“ კონტროლზე

ახლა ის დროა, როცა ყველამ ხელი უნდა მოვკიდოთ სამუშაო იარაღს და მიწათმოქმედებას მივყოთ ხელი, თუ გვინდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის წაქცეული ეკონომიკა ფეხზე წამოვაყენოთ ამ მხრივ მოსალოდნელი კიდევ უფრო გართულება თავიდან ავიცილოთ და ის სანუკვარი ოცნების ასრულება, რასაც საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა ჰქვია, რაც შეიძლება მოვიახლოვოთ.

ის-ის იყო ალპანის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობა მოვიკითხეთ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ოთარ კვენტაძემ ძალაუნებურად სოფლის ცენტრში მდგარ საირმის უბნის ტრაქტორისტს გურგენ ცხვედიანს შეგვახვედრა, მუშა კაცის დაღლილ სახეს ეტყობოდა, რომ ენანებოდა გაზაფხულის სამუშაო დღის გაცდენა, არადა სიჩქარის კოლოფი ჩაშლილიყო და ცაგერის მანქანა-ტრაქტორთა რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოდან ახალი ნაწილის გადმოტანას ელოდა. საგაზაფხულო საქმე სხვა დროსთან შედარებით უფრო ჩამორჩენილია და გლეხურ მეურნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით იმ გაუგებრობასა და თავშეკავებაზე რასაც ახლა სოფლის მშრომელები იჩენენ, აუღელვებად ვერაფერს ამბობს ო. კვენტაძე, რომელსაც ჯერჯერობით კოლმეურნეობის წინამძღოლი ჰქვია. ამაში მთლად მართალი თვითონაც არ არიან, თუმცა თვითკრიტიკასაც არ გაურბის და ამბობს —სამეურნეო ხელმძღვანელთა მიერ მეტი კონტაქტი და საერთო ენის გამონახვაა საჭირო ადამიანებთან, რომ სოფლის მშრომელებმა ბოლოსდაბოლოს ირწმუნონ მიწის სიკეთე, აირჩიონ სწორი გზა და მეტი გულდაჯერებით მოეკიდონ სამომავლო საქმეს.

ამ გაზაფხულზე კოლმეურნეობაში სამარცვლე სიმინდი 80 ჰექტარზეა დასათესი, საიჯარო

მონდომება და გულიკ მთავარი

ხელშეკრულებით მოსავლელად 58 ჰექტარია გაცემული, დანარჩენი 42 ჰექტარი, იმის გამო, რომ პატრონი არ ეყოლება, დაუხნავ-დაუთესავი დარჩებაო —გვითხრეს.

ხვნაც და სიმინდის თესვაც დამთავრებულია ალპანის უბანში, სადაც ტრაქტორისტმა ტარიელ ჯანაძემ სულ 14 ჰექტარზე დათესა სამარცვლე მინდორი და ახლა ზოგიშში უნდა გადავიდეს ტრაქტორისტ ვარდენ ალავიძის დასახმარებლად, თუმცა, იმ დღეს (19 აპრილი) ზოგიშის ჭალაზეც ვნახეთ გაფუჭებული ტრაქტორი, ვარდენ ალავიძე წვალობდა, მაგრამ დღის ორი საათი იყო და ტექნიკა მუშა მდგომარეობაში მაინც ვერ მოეყვანა.

საგაზაფხულო ხვნას 2 აპრილს შეუდგნენ ალპანელი მექანიზატორები და ჯერჯერობით 35 ჰექტარია დახნული. 5 მაისს ვეფა და ვერ გადავაცილებთ

რადგან აქაური (ცაგერა, საირმე) ბუნებრივი პირობები ისეთია, გვიან დათესილი ვერ ასწრებს დამწიფებას და ეს ყველაფერი აქედანვეა გასათვალისწინებელიო.

როგორც ზემოთ ვთქვით, გულსაწყვეტია, რომ სოფელში არავინ გამოჩნდა შეამხანაგდნენ და უპატრონოდ დარჩენილი 42 ჰექტარი არენდით აიღონ, მიწა არ მოჭცდინონ, ამას ისიც ემატება, რომ მოიჯარეებს დასახნავი ფულის გადახდაც კი ეზარებათ, რაც ყოველ 1000 კვადრატულ მეტრზე 10 მანეთს ითვალისწინებს. კოლმეურნეობაში დაგვისახელეს ისეთებიც, რომლებსაც გასული წლის მომაგრებული ფართობის დახვნის ღირებულებაც არა აქვთ გადახდილი. არადა ეს ფული ხომ ტრაქტორისტის შრომის ანაზღაურებას, სათადარიგო ნაწილების შეძენას ხმარდება, რომლის ჯერ შოვნაა პრობლემა, თორემ ფულის გადახდას აღარავინ დაეძებს. ამაში კიდევ ერთხელ მაშინ დავრწმუნდით, როცა დღის ბოლოს უკან გამობრუნებულები კვლავ შევხვდით ტრაქტორისტ გურგენ ცხვედიანს, რომელიც ახლა საირმის ასასვლელში იდგა და ნაწილები კი გადმოუტანათ ცაგერიდან, მაგრამ მანქანის ლოდინში იყო, რომ იქნებ მაღლიანი ვინმე გამოჩენილიყო და სოფელში მის ატანაში დახმარებოდა. კოლმეურნეობის მექანიზატორებს უჭირთ ზეთზე, საწვავი კი ჯერჯერობით აქვთ.

ასე წვალებით მორჩებიან კი ალპანელი მექანიზატორები 5 მაისამდე ხვნა-თესვას? ღმერთმა ქნას, მაგრამ ძალზე საეჭვოა.

ჯ. მანდარია.

ჩვენი სოფლის ადამიანები

□

საქმემან შენმან...

დღეს, როცა ბევრი ლაპარაკია ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, საქმე, პრაქტიკული საქმე, ეკონომიკის განმტკიცებისათვის ზრუნვა დგება ცხოვრების წინა პლანზე.

ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნემ ჯემალ კობერიძემ პატიოსანი გარჯით დაიმკვიდრა სახელი თანამოსაქმეებში, სოფელში, კუთხეში. იპოვა თავისი ადგილი ცხოვრებაში, შრომა შინაგან მოთხოვნილებად ექცა, ამიტომაც უყვართ და აფასებენ.

ოჯახური იჯარა შრომის ორგანიზაციის ის ფორმაა, რომლის დანერგვის ძირითადი მიზანი წარმოების საბოლოო შედეგებით მომუშავეთა დაინტერესებაა. ჯემალმაც ალღო აუღო იჯარულ შრომას და შედეგებითაც ყოველთვის კმაყოფილია. სანიმუშოდ, პასუხისმგებლობით არის მოვლილი მისი ზვარი და ყანა, საიდანაც არც დოვლათი აკლია და არც საქები სიტყვები.

ჯემალ კობერიძე მარტო კოლმეურნე როდია. იგი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ლასურიაშის ავეჯის საამქროს მუშაა. მხარში უდგას გამოცდილ ოსტატს ჯემალ ჭაბუკიანს და ეცდილობს მთელი მონდომებით იშრომოს, ოსტატსაც ასიამოვნოს და მომხმარებელსაც. ენერგია რამდენს აქვს, მაგრამ თუ მას გონიერებისა და წინდახედულობის საფენელი აკლია, ფუჭად დაიხარჯება.

ახლა, გაზაფხულის ამ დღეებში, ჯემალის გაპიროვნებულ 0,2 ჰექტარ ზვარში შეხვდებით. რიგთაშორისების დამუშავებას ამთავრებს, ახლა წყდებაო მოსავლის ბედი. იცის, რომ ზვარში ყოველ დაგვიანებულ საქმეს ზარალი მოსდევს. ნაღდი მუშა კაცი უკან კი არ იხედება, უკვე რა გავაკეთეო, არამედ წინ, მომავალში რა მაქვს გასაკეთებელიო. ამიტომაც ენდობიან, იგი ლასურიაშის სასოფლო საბჭოს დეპუტატია. მას აქვს თავისი სამოქმედო პროგრამა, რომლის მიხედვითაც ცხოვრობს და მოქმედებს. ზრუნავს სოფლის დოვლათის გამრავლებაზე, კულტურის ამაღლებაზე, წესრიგის დამკვიდრებაზე.

დიდი ხანი არაა, რაც დაოჯახებულია. მის ფუძეზე პატარა ლევანიც გაჩნდა, ოჯახის დიდი ბებუის სახელი დაარქვეს. იმრავლონ!

დღე დღეს მისდევს, ჯემალი საამქროში, ზვარშიც, ყანაშიც თავის საქმეს აკეთებს გულმოდგინედ, მონდომებით. ასეთებზე ამბობენ: საქმემან შენმან გამოგაჩინოსო.

ღმერთმა გვიმრავლოს მისი მსგავსი მშრომელი ახალგაზრდები დღევანდელ ჩვენს სოფლებში.

ბ. ბაქრაძე.

რ ო მ ა რ ა ვ ი ნ დ ა ა რ ა ფ ე რ ი დ ა ვ ი ვ ი წ ყ ო თ

მლელვარე დღეთა ფურცლები

ცაგერიდან ნარგიზავნილთა საბრძოლო გზირება

რაიონის შვილები მამაცურად იბრძოდნენ მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადთან, ჩრდილო კავკასიაში, ყირიმში, კურსკის რკალზე, მონაწილეობდნენ ბერლინის იერიშებში, ფაშისტ დამპყრობთა უღლისაგან დასავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლებაში. სამშობლომ დიდად დააფასა სამამულო ომში რაიონის ნარგიზავნილთა მხედრული გმირობა და მამაცობა— ათასობით მეომარი დაჯილდოვდა მამაცობის ორდენებითა და მედლებით.

იმ მამაც ქართველ მფრინავებს შორის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია აკაკი ანდრიას ძე ასლანიკაშვილს, რომელიც სოფელ ოფიტარაში დაიბადა და აღიზარდა. მისმა შშობლებმა 9 შვილი აღზარდეს. აკაკი 16 წლისა კომკავშირის რიგებში მიიღეს. 1935-37 წლებში სოფ. ოფიტარის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსად მუშაობდა. იყო კომკავშირის რაიკომის წევრი, ამავე რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორი. მოწინავე, პერსპექტიული ახალგაზრდა 1937 წელს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ერთწლიან სკოლაში გაგზავნეს, რომლის დამთავრების შემდეგ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით ბატაისკის საავიაციო სასწავლებლის კურსანტად ჩაირიცხა. სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, უკვე მფრინავ-კონსტრუქტორი და უფროსი ლეიტენანტი, პავლოგრადის საავიაციო სასწავლებელში მიავლინეს, სადაც მრავალი სახელოვანი მფრინავი აღიზარდა სამშობლოსათვის. ფაშისტთა წინააღმდეგ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლაში 1941 წლის აგვისტოდან ჩაება და თავისი ბომბდამშენით მძიმე დარტყმებს აყენებდა ფაშისტებს... ფრენის მაღალი ოსტატობა, გამჭრიახობა, გამბედაობა, მამაცობა, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება—აი ის საუკეთესო თვისებები, რითაც ხასიათდებოდა „ფრთოსანი მეომარი" აკაკი ასლანიკაშვილი. მისი საბრძოლო ბიოგრაფია მდიდარია სამშობლოსათვის თავგანწირგის გმირული ეპიზოდებით...

1945 წლის იანვარში მამაცი მფრინავი აკაკი ასლანიკაშვილი, რომელსაც გულმკერდი ორდენებითა და მედლებით ჰქონდა სავსე, თავის შშობლიურ სოფელ ოფიტარას ესტუმრა და შშობლები ინახულა. შემდეგ კვლავ ფრონტი, კვლავ სიკვდილის პირისპირ დგომა... სამამულო ომის დამთავრების შემდეგ აკაკიმ, უკვე კაპიტანმა, კიდევ დიდხანს იმსახურა საბჭოთა არმიაში. ბოლოს სამოქალაქო ავიაციაში დაიწყო სამსახური, 10 წელი თბილისის აეროპორტში მუშაობდა ფრენის ხელმძღვანელად და ინსპექტორად. 1970 წლიდან ლენინგრადში ცხოვრობს. ხუთი საბრძოლო ორდენი და შვიდი მედალი, რომელიც მკერდს უმშვენებს, საშშობლოს წინაშე აკაკის დიდ დამსახურებაზე მეტყველებს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბიძინა ლავრენტის ძე ახვლედიანმა ერთი წელი პედაგოგად იმუშავა. 1938 წელს კი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და იმავე წელს მონაწილეობდა პოლონელი პანებისაგან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ჩატარებულ ოპერაციებში. პოლტავის სამხედრო სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, უკვე უმცროსი ლეიტენანტი, 1941 წლის მარტიდან ოცეულს მეთაურობს დასავლეთის საზღვართან მდგომ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. და სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე ჩაება ბიძინა მტერთან უთანასწორო ბრძოლაში...

1943 წლის დასაწყისში, ამჯერად უკვე ასეულის მეთაური ბიძინა ახვლედიანი ნოვოროსიისკის მიმართულებით ერკინება მტერს, განსაკუთრებით დიდი ბრძოლა გადახდა კრიმსკაიასთან. მის ასეულს გერმანელები უნდა განედევნა სტრატეგიული მნიშვნელობის ერთ-ერთი უსახელო სიმაღლიდან, იერიში განთიადისას დაიწყო. საბჭოთა მეომრები ფაშისტებს მამაცურად ეკვეთნენ... ოპერაციის უნარიანად წარმართვისათვის ბ. ახვლედიანი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვეს. 1943 წლის ივნისიდან ახალგაზრდა მეთაური 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიაშია, რომელსაც სახელოვანი გენერალი გიორგი ყურაშვილი მეთაურობდა. გამოცდილი, ბრძოლებში სახელმოხვეჭილი მეომარი ჯერ ბატალიონის მეთაურის მოადგილედ, შემდეგ კი ბატალიონის მეთაურად დაინიშნა. 1371-ე მსროლელი პოლკის მეორე ბატალიონი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, დივიზიის სხვა ნაწილებთან ერთად თავგანწირული ბრძოლით ზედიზედ ათავისუფლებდა ფაშისტებისაგან საბჭოთა მიწა-წყალს. 22 სექტემბერს გაათავისუფლეს ქ. ანაპა. მალე ფაშისტებისაგან გაიწმინდა მთელი ტამანის ნახევარკუნძული. ბ. ახვლედიანი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1944 წლის 12 თებერვალს ქ. ქერჩში. ცემენტის ქარხნის რაიონში მძიმედ დაიჭრა მამაცი მეთაური. მეოთხედ დაღვარა სისხლი საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის... ომის დამთავრების შემდეგ ბიძინამ კიდევ დიდხანს იმსახურა საბჭოთა არმიაში. 1947 წელს გაიგზავნა ქ. კალინინის ზურგისა და ტრანსპორტის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე წითელი არმიის სხვადასხვა ნაწილში. 1955 წლიდან ბიძინა ახვლედიანი თადარიგშია. ამჟამად ქუთაისში ცხოვრობს და აქტიურად მონაწილეობს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში.

უცხერელმა ნიკოლოზ ახვლედიანმა ხუთი შვილი გაგზავნა სამშობლოს დასაცავად. ხუთივე მამაცურად ებრძოდა ფაშისტებს. სამი გამარჯვებული დაუბრუნდა თავის მშობლიურ კერას, ორი კი მტერს შეაკვდა ბრძოლაში და სამუდამო უკვდავეყოფა მოიპოვა. უფროსი ვაჟი დიანოზი ჩრდილო კავკასიის ფრონტზე იბრძოდა. 1942 წელს მძიმედ დაიჭრა. ჰოსპიტალის ხელმძღვანელობამ საბოლოო გამოჯანმრთელებისათვის სამი თვის შვებულება მისცა და შინ გამოისტუმრა. შემდეგ კვლავ ფრონტი, კვლავ ცეცხლი და სიკვდილი, ხოცვა და ულეტა. 1943 წლიდან დიანოზი ბელორუსიის პირველ ფრონტზეა, მონაწილეობდა ვარშავის განთავისუფლებაში. ოდერის გადალახვის დროს სარდლობის საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. აქაც თავი გამოიჩინა ბეჯითი შრომით.

გარდაიცვალა 1965 წელს. მომდევნო — ალექსანდრე დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ქერჩის სრუტის გადალახვისას ფეხში დაიჭრა და ჰოსპიტალში მოხვდა. გამოჯანმრთელების შემდეგ სტალინგრადის ფრონტზე იბრძოლა. სამჯერ დაღვარა სისხლი სამშობლოსათვის. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები და მეთაურთა მადლობები. ომის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კოლმეურნეობის ბრიგადირად. მისი ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავე იყო კოლმეურნეობაში, რაც არა ერთჯერ აღნიშნულა რაიონულ პრესაში. მესამე ძმა ამბაკო მფრინავი იყო. დაამთავრა ბატაისკის, შემდეგ კი ხარკოვის საავიაციო სასწავლებელი და ავიაციის ლეიტენანტი გახდა. ომმა ლვოვში მოუსწრო. მსახურობდა შტურმანად შორსმოქმედ ავიაციაში. სარდლობის საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ამასთან პირადი გმირობისა და მამაცობისათვის 1941 წლის დეკემბერში [illegible] ორდენით. 1942 წელს უკვე ავიაციის კაპიტანი ამბაკო ახვლედიანი ესკადრილიას მეთაურობდა. არა ერთჯერ მიიღო მოწინავეობა რუმინეთის ქალაქ პლოეშტის ნავთობის ობიექტების დაბომბვაში. ერთერთი საბრძოლო დავალების შესრულების დროს მტრის საზენიტო არტილერიის ყუმბარამ თვითმფრინავი დაუზიანა და თვითონაც მძიმედ დაიჭრა. მიუხედავად ამისა, შეძლო ჩვენს ტერიტორიაზე დაჯდომა. უგონო მდგომარეობაში მყოფი მფრინავი სასწრაფოდ ჰოსპიტალში გაგზავნეს, მაგრამ მისი გადარჩენა შეუძლებელი შეიქნა. მეოთხე ძმა—აქვსენტი ახვლედიანი ქ. ვიბორგში გადიოდა სამხედრო სამსახურს. სამამულო ომმა კარელიის ფრონტზე მოუსწრო. 1941 წლის ნოემბერში დაიჭრა. ქ. კალინინის ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ კინგისეპის მიმართულებით იბრძოლა. 1942 წლის თებერვალში ერთ-ერთ უთანასწორო ბრძოლაში ნალმის ნამსხვრევით მძიმედ დაიჭრა და ჰოსპიტალში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ნაადრევად შეწყდა 22 წლის ჭაბუკის სიცოცხლე. მეხუთე ძმა შარდენი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ცაგერის რაიმიწგანის აგრონომად მუშაობდა ღვირიშის უბანში, 1942 წელს წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. მეტყვიამფრქვევთა ათეულის მეთაური შარდენ ახვლედიანი შეუპოვრად ებრძოდა მტერს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე. 1944 წელს გაგზავნეს სამხედრო მეთაურთა სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ისევ ფრონტზე წავიდა.

(გაგრძელება იქნება).

დასაწყისი იხ. „ლეჩხუმი" №18, 49.

ჩვენ გვწერენ

სოფელი ითხოვს

საავტომობილო გზა ცაგერი—აღვი ერთმანეთთან და ცაგერი-წყალტუბოს ცენტრალურ გზასთან აკავშირებს რვა სოფელს. ეს გზა მოასფალტებული არაა, სავსეა ორმოებით და რა თქმა უნდა, თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. სოფელ მახაშის ბოლოს, „ბატონის კალოზე" ჩამოდის ღელე, რომელიც წვიმის დროს დიდდება და თან ჩამოაქვს ღვარცოფი და ხეებიც კი. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ლასურიაშის ტერიტორიაზე „სევარიონის ღელესთან". გზის ეს ორი მონაკვეთი ავდარში გაუვალია. ამ გზით მოსწავლეები დადიან სკოლაში და იქმნება უბედური შემთხვევის საშიშროება, ამიტომ ამ ადგილებში აუცილებელია ხიდების აგება.

მახაშის მცხოვრებლები ვითხოვთ, ვისაც ეხება ამ საქმის მოგვარება, გაგვიწიონ დახმარება და აგვიშენონ ხიდი, რომ ყოველგვარ ამინდში თავისუფლად მიმოსვლის შესაძლებლობა გვქონდეს.

ვ. ჯამგურიძე.
შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანი.
სოფ. მახაში.

კ რ ე ბ ე ბ ზ ე, კ პ ა რ ტ ი უ ლ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ებ შ ი

სიმართლეს შევხედოთ თვალებში

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კომუნისტებისათვის ღია პარტიული კრება, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, არ გაუდა ჩვეულებრივს. უბრალესად საწარმოს ავ-კარგზე მსჯელობით, სამომავლო ამოცანების განსაზღვრით რომ ამოიწურებოდა. ეს მათი სისხლხორცეული საქმეა. მაგრამ კომუნისტებს სპეციალურადაც რომ არ გაეფილათ საკითხი რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, თავიანთ ხალხს, მეზობლებს, ნათესავებს, ოჯახებს, ეკონომიკურ, ეროვნულ, ეკლესიურ, ოჯახურ, ...

მოზარდი და სპორტი

დღეს, ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას საერთოდ და მათ შორის სკოლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სკოლებში იმიტომ რომ აქ ეყრება საფუძველი ახალგაზრდის ფიზიკურ ფორმირებას და ამის ნიადაგზე ჯანმრთელობას, ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში, მისი შრომისუნარიანობის გაზრდაში, დიდ როლს ასრულებს ფიზკულტურა და სპორტი. პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ სპორტისადმი სიყვარული მომავალ თაობას და აღვზარდოთ ისინი იმ რწმენით, რომ სპორტი ადამიანთა სიძლიერის, სილამაზისა და სიმხნევის გამოხატულებაა.

ბოლო წლებში რაიონის ბევრ სკოლაში საკმაო ყურადღებას უთმობენ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. სკოლების დიდ ნაწილში კეთილმოეწყო სპორტული მოედნები. ბარდნალის, ზუბის, ოყურეშის, ალპანის საშუალო, აღვის, ჩქუმის, ლუხვანოს არასრულ საშუალო სკოლებში მომზადებულად ტარდება ფიზკულტურის გაკვეთილები, ამხანაგური შეხვედრები მეზობელ სკოლებთან. აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს, „იმედის სტარტებს", „მხიარულ სტარტებს" და სხვა სახის სპორტულ ღონისძიებებს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადაში.

სკოლების ერთ ნაწილში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ბევრი ნაკლია. ზოგან თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე არ არის მოწყობილი მარტივი ტიპის მოედნები. არ სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება სკოლების შენობებზე სპორტული დარბაზის მიშენების შესახებ. ძალზე სუსტად მარაგდება სკოლები სპორტული ინვენტარით. შეიმჩნევა ფიზიკური აღზრდისადმი სკოლის დირექციის, პედაგოგიური კოლექტივის გულგრილი დამოკიდებულება, ის მარტო ფიზკულტურის მასწავლებლის საქმედ მიაჩნიათ. ამიტომ არის, რომ ლაილაშის, ორბელის, ტვიშის საშუალო, ზოგიშის, საირმის, უსახელოს, თაბორისა და ზოგიერთ სხვა არასრულ საშუალო სკოლებში არ ტარდება ჯანმრთელობის დღეები, ლაშქრობები, არ დაინერგა „იმედის სტარტები", **„მხიარული სტარტები", ზოგიერთი** მათგანი არ ღებულობს მონაწილეობას სასკოლო რაიონულ სპარტაკიადაში.

სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას აფერხებს ისიც, რომ საბავშვო ბაღებიდან და დაწყებითი კლასებიდან ბავშვებს არ მოყვებათ დამაკმაყოფილებელი სპორტული საძირკველი. ამას ემატება ისიც, რომ ზოგიერთ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებად არასპეციალისტები მუშაობენ, ზოგიერთ მათგანს საშუალო პედაგოგიური განათლებაც კი არ აქვს. ეს საკითხი მრავალჯერ იქნა დაყენებული განათლების სამინისტროს წინაშე, მაგრამ ჯერჯერობით არ მოგვარდა. ამუამად რაიონის 6 ახალგაზრდა სწავლობს თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტზე და მათი მოსვლის იმედი გვაქვს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარების ხარისხზე და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მოწყობაზე უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა მცირე კონტიგენტი, რა მუშაობა უნდა ჩატარდეს კლასში, სადაც მხოლოდ 2-3 მოსწავლეა.

წლების განმავლობაში ვაყენებთ საკითხს რაიონში სპორტული მაღაზიის გახსნის შესახებ, მაგრამ ამ საქმეში სერიოზულად არავინ ჩაერია. რაიონის მოსწავლე ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის საქმე დღის წესრიგში აყენებს ასეთი მაღაზიის არსებობის აუცილებლობას, რათა რაიონის ახალგაზრდებს და სკოლებს საშუალება ჰქონდეთ ადგილზე შეიძინონ სპორტული ინვენტარი, ფორმები და სპორტის სხვა საშუალებანი. ვითხოვთ ზემდგომ ორგანოების დახმარებას ამ საქმის მოგვარებაში.

ზემოთ ჩამოთვლილი და ზოგიერთი სხვა მიზეზები აფერხებს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას, მაგრამ სკოლის დირექციისა და ფიზკულტურის მასწავლებლის მონდომებული მუშაობით უთუოდ შეიძლება მეტის გაკეთება, როგორც ამას ზოგიერთი სკოლები ახერხებენ.

განათლების განყოფილებამ, სკოლების დირექციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის საჭიროა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხებს.

3. მუშკუდიანი.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორი, განათლების განყოფილების შტატგარეშე მეთოდისტი.

ᲨᲕᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲒᲙᲝᲠᲣᲜᲕᲐᲡ ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲔᲑᲐ

„კარგი შვილი დედის კულის ვარდიაო" ნათქვამია. მე კი დავამატებდი — შშობლების უებარი წამალი, სიცოცხლეა ზრდილობიანი, შრომისმოყვარე, ალალი ახალგაზრდა.

დიახ, ასეთი ახალგაზრდების რიცხვს ეკუთვნის ლაილაშში შრომისმოყვარე ოჯახში აღზრდილი ჭაბუკი გიორგი მიხეილის ძე მესხაძე, რომელიც ამჟამად იხდის სამხედრო სამსახურს. იგი პირველ ხანებში მონღოლეთში იხდიდა სამხედრო ვალს.

ორიოდე თვის წინ გადმოიყვანეს კარიმორსკში, ხასანის რაიონში. იქაც იჩენს შრომისმოყვარეობას.

ამ დღეებში შვილმა დედას გამოუგზავნა ნაწილის უფროსებისაგან დაჯილდოების ქების ფურცელი.

დიახ, ყველა დედას გაუხარდება შვილის ვარგისიანობა, და სახელი.

გაიხარეს მედეა მათეს ასულმა სილაგაძე-მესხაძემ და მისმა მეუღლემ მიხეილ ნესტორის ძე მესხაძემ.

სწორედ სასიხარულოა კარგი ვაჟკაცის მშობლობა, რადგან არასოდეს არ ესაჭიროებოდა ქვეყანას ისე ზრდილი და სანიმუშო ახალგაზრდები, როგორც დღეს, როცა საქართველო დამოუკიდებლობისათვის იღვწის.

ვუსურვოთ მშობლებს მშვიდობით დაუბრუნდეთ ბიჭი.

პ. გოლეთიანი.

სოფ. ლაილაში

საოცრება ზეციდან

წლევანდელ 5 აპრილამდე თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ არავითარი ამოუცნობი მფრინავი ობიექტები ჩვენს გარშემო არ არსებობს და ეს იმის მიუხედავად რომ თითქმის ყველაფერს ვკითხულობდი, რაც ოფიციალურად იწერებოდა ამ ზეციურ საოცრებაზე. გავეცანი იმ მასალებს, რაც ბელგიელი მარსელ ალფერანდოს მიერ 1990 წლის 30 და 31 მარტს გადაღებულ ფოტოდოკუმენტებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. ამჯერად სრულიად ახალი სიტყვა ითქვა „თეფშების" შესახებ, რაც საგრძნობლად ეწინააღმდეგება ამ საზოგადოების მანამდელ სამეცნიერო ანალიზს 700-მდე მფრინავ ობიექტზე სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტომასალების შესახებ.

ალფერანდოს მიერ ამჯერად გადაღებულია ობიექტები, რომლებიც მარტის ბოლოს ბრიუსელის თავზე გამოჩნდნენ 300-400 მეტრის სიმაღლეზე. ობიექტები თავისი ფორმით, მოცულობით, მასშტაბურობით, სინათლის გამოსხივებით მკვეთრად განსხვავდებიან მანამდე ცნობილი ობიექტებისაგან, კერძოდ, მეცნიერები გააოცა მათმა გიგანტურობამ — დიამეტრი 40 მეტრამდეა, რაც 10-ჯერ ჭარბობს დღემდე დანახული თეფშების გაბარიტებს და, რაც მთავარია ახალი ობიექტების ელექტროგანათება ხასიათდება ორიგინალური ფერისცვალებით: ლურჯი, მოყვითალო ოისფერი შეფერადებით..

ზეციური საოცრების საკუთარი თვალით მნახველთა რიცხვში მეც აღმოვჩნდი. ეს იყო 5 აპრილს 20 საათსა და 45 წუთზე სოფელ რიონის განაპირა ტერიტორიაზე. იდგა საოცრად მშვიდი საღამო. უღრუბლო ზეცას, როცა ბინდი ოდნავ შეეპარა, ჩემს შვილიშვილებთან მეთერთმეტე კლასელ შოთასა და მეცხრეკლასელ ირაკლისთან ერთად საგარაკო ნაკვეთში მუშაობის დამთავრების შემდეგ, მანქანაში ვჯდებოდი. უეცრად ბავშვებმა ერთხმად შეჰყვირეს: შეხედეთ ჩვენსკენ მფრინავი თეფში მოდის!..

ნამდვილი საოცრება დავინახე. ჩრდილოეთიდან ჩვენსკენ დინჯად, უხმაუროდ მოძრაობდა თვალისმომჭრელი სინათლით გაჩახჩახებული ვეებერთელა, სავსე მთვარის მსგავსი სფერული ობიექტი. ორიოდე წუთიც და ზეციური საოცრება ჩვენს თავზე შვეულად ჩამოეკიდა, დაახლოებით 500-600 მეტრ სიმაღლეზე მისი „ფსკერის" დიამეტრი დაახლოებით 4-5 მეტრი იქნებოდა.

უნდა გამოვტყდე, ეს მომენტი მაინცდამაინც არ მომეწონა. ვშიშობდი ვაითუ ბავშვებმა ცუდად აღიქვან ეს უველაფერი, მაგრამ საბედნიეროდ თეფშების უვნებელი მოძრაობის შესახებ საკმაოდ ინფორმირებულნი მშვიდად ადევნებდნენ თვალს ყველაფერს, რაც ჩვენს ზემოთ ხდებოდა. გადავწყვიტეთ ადგილი მოგვენაცვლებინა. დაახლოებით ნახევარი კილომეტრი მოვცილდით იქაურობას. გზა-შარაზე გასვლისთანავე ვხედავთ: ჩვენმა ზეციურმა „მეთვალყურემ" მსგავსი მანევრი გაკეთა. იგი რამდენიმე წუთის განმავლობაში თითქოს უძრავად იყო. შემდეგ მკვეთრად მოწყდა ადგილიდან, სწრაფად აიღო საჭირო სიმაღლე და გაემართა იმავე მიმართულებით, საიდანაც ჩვენთან მოვიდა.

მეორე დღეს მე ნანახის შესახებ ვესაუბრე წყალტუბოელ პედაგოგს ლარისა ბელტიუკოვას, კოლმეურნეებს ბონდო და კოლია მაღლაფერიძეებს, გრიშა ფურცხვანიძეს, რომელთაც იგი ჩვენსავით დაუნახავთ.

მე, როგორც ზეციური სხეულების მოძრაობის ან უძრაობის არასპეციალისტს და, საერთოდ, ამ დარგში საკმაოდ არაკომპეტენტურ ჟურნალისტს, რომელიც ამავე დროს არავითარ პრეტენზიას არ აცხადებს რაიმე მეცნიერულ ჰიპოთეზაზე, მაინც შემიძლია განვაცხადო: ის, რაც საკუთარი თვალით დავინახე, იმყოფებოდა ცოცხალი ზეარსების მართვის ქვეშ. ანდა მფრინავ ობიექტს „დირიჟორობს" და დედამიწაზე, თუ სამყაროში დაატარებს მეცნიერებისათვის უცნობი დისტანციური მართვის ფანტასტიური ელექტრო-კომპიუტერული ძალები.

მაგრამ მე მაინც ბურუსში ვარ გახვეული. რა ხდება ჩვენს გარშემო?! სანამდე იქნება საიდუმლოებით მოცული ამოუცნობი მფრინავი ობიექტების თავისუფალი „თარეში" ჩვენს პლანეტაზე და რაა მოსალოდნელი ველაფერი ამისაგან?

შ. ღვინიანიძე,
გაზეთი „ჟუთაისი".

როგორ ვუმასპინძლდებით პატარებს?

ბავშვთა კვება სკოლის პირობებში გავლენას ახდენს არა მარტო მოზარდის ფიზიკურად სრულყოფილ განვითარებაზე, არამედ, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, მათ აკადემიურ მოსწრებაზეც. ცნობილია, რომ ბავშვები, რომლებიც იკვებებიან სკოლაში, რამდენადმე უკეთეს შედეგებს აღწევენ სწავლაში. რა თქმა უნდა, იგულისხმება ნორმალური კვება და არა ისეთი, რომელსაც ადგილი აქვს ორბელის საშუალო სკოლის სასადილოში, სადაც უცვლელი მენიუ აქვთ და მთელი მარტის თვეში ბავშვებს უხორცო სუპით უმასპინძლდებოდნენ. სკოლის 250 მოსწავლიდან გახანგრძლივებულ ჯგუფებში გაერთიანებულია 90 მოსწავლე, რომლებიც სადილს ღებულობენ სკოლის სასადილოში. სკოლას აქვს აგრეთვე ბუფეტი, ადრე ბუფეტსა და სასადილოში 3 თანამშრომელი მუშაობდა, ახლა 4 თვეა მაყვალა მუშკუდიანი მარტო მუშაობს მებუფეტედ და მზარეულად. ერთი მუშაკი შეამცირეს, ერთიც სადეკრეტო შვებულებაშია და ეს ყველაფერი ბავშვების კვებაზე მოქმედებს. მაგრამ საჯკვების გაერთიანება, სკოლის ხელმძღვანელობა ნაკლებად ზრუნავენ მდგომარეობის გამოსწორებისათვის. არა და პრაქტიკულად ერთი ადამიანი ვერ მოასწრებს პროდუქტების შემოტანას, სადილის გაკეთებას. შემოწმების დღეს ახლადმიღებული ხახვი და კარტოფილი უხარისხო იყო. არ ჰქონდათ მწვანილი, მის ნაცვლად ხმელ სუნელებს იყენებდნენ.

სასადილოში არაა დაცული სანიტარული ნორმები, გაზქურა უვარგისია, მის ნაცვლად ხმაროობენ კუსტარულ გაზქურას, რომელიც პროდუქტების საწყობში დგას, სათავსოები არაა გამოყენებული დანიშნულებისამებრ. გაძნელებულია თხევადი გაზით მომარაგება.

საჯკვების გაერთიანება არ ამარაგებს სარეცხი საშუალებებით, სარეცხ საშუალებად იყენებს საპონს, რომელსაც თვითონ მებუფეტე იძენს. არ აქვს სადეზინფექციო ხსნარი.

შედარებით უკეთესად მარაგდება ბუფეტი, აქვთ ფუნთუშა, ნამცხვარი, კანფეტი, ჯემი, ხილის წვენები.

სასადილო საჭიროებს საჯკვების გაერთიანებისაგან მეტ ყურადღებას, აუცილებელია ერთი თანამშრომლის დამატება. უნდა გაუმჯობესდეს პროდუქტებით მომარაგების საქმე.

სკოლის დირექციამ უნდა დააწესოს კონტროლი სასადილოსა და ბუფეტის მუშაობაზე. მართალია დღეს პრობლემადაა ქცეული ხორცი და სხვა პროდუქტი, მაგრამ მეტი მონდომებით, მომთხოვნელობით, თავის შეწუხებით ბავშვებს ნორმალური ზრუნვისა და აღზრდა-სწავლების პირობები შეგვიძლია შევუქმნათ.

გ. ჩარკვიანი.

კვლავ სისუფთავის შესახებ

ამას წინათ ჩვენს გაზეთში მწვავედ იყო გაკრიტიკებული ის წარმოებადწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა ეზოებში გამეფებული იყო უსუფთაობა, ანტისანიტარია. ბევრმა მათგანმა ყურად იღო გაზეთის კრიტიკა და წესრიგში მოიყვანა ეზოები და მიმდებარე ქუჩის ტერიტორია.

მაგრამ ბევრმა არ მიიტანა თხოვნა ქალაქის კულტურული იერსახის დაცვის, ეზოებისა და მიმდებარე ქუჩის დასუფთავებაზე და მათ ირგვლივ კვლავ სიბინძურე სუფევს.

მთელი ზამთრისა და მის შემდგომ დაგროვილი ნაგავის გროვა დგას ყოფილი ადმინისტრაციული შენობის ეზოში სტალინის ქუჩიდან შესასვლელში. აქვე მდებარე წყლის ავზი კოლონების ბუდედ გადაქცეულა, რადგან მასში დამდგარი წყალი ავსებულია ნაგავით.

ანალოგიური მდგომარეობაა სამხატვრო და სამუსიკო სკოლების ეზოში.

აღნიშნულის გამოსწორებისათვის საჭირო ზომებს არ ღებულობენ რაისაბჭოს აღმასკომის ქალაქის კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის განყოფილება და კომუნალურ საწარმოთა კომბინატის დირექცია.

სპორტი

ცაგერის პროფსასწავლებლის სპორტულ მოედანსა და რაიონის სპორტულ დარბაზში ჩატარდა საშუალო სკოლების პირველობები ჭაბუკთა და გოგონათა შორის ფრენბურთში, რომელიც შედიოდა სპარტაკიადის პროგრამაში.

გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ოყურეშის საშუალო სკოლის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ლასურიაშის, მესამეზე ცაგერის სკოლების გუნდები.

ჭაბუკებს შორის შეჯიბრებამ გამოავლინა, რომ ყველაზე მომზადებული გუნდი

სპარტაკიადის პროგრამით

გამოაცხადა პროფსასწავლებელმა და დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა კიდეც ბარდნალის საშუალო სკოლის ფრენბურთელებთან, რამაც პირველობა მოუტანა პროფსასწავლებლის გუნდს.

მეორე ადგილი მოიპოვა ბარდნალის საშუალო სკოლის ჭაბუკთა, ხოლო მესამე ცაგერის საშუალო სკოლის გუნდებმა.

გამარჯვებულებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

სპარტაკიადის პროგრამით კიდევ ჩატარდება ვაჟთა კალათბურთი და ფეხბურთი.

სპარტაკიადა გრძელდება

ჯ. შაუბუღიანი

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

დიაგნოზს სვამს კომპიუტერი

წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა ექიმ რეანიმატოლოგს სასწრაფოდ სჭირდება ინფორმაცია ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის ინტენსიურობის, პაციენტის სისხლის მდგომარეობის შესახებ. ტრადიციული წესით გამოკვლევისათვის მას სულ ცოტა ორი საათი დასჭირ-

დება. მაგრამ თუ საფუძვლად დავუდებთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინფორმატიკისა და კომპლექსური ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ახალ მეთოდიკას, ზუსტი დიაგნოზისათვის დაიხარჯება მაქსიმუმ ოცი წუთი. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ბურთი სპეციალური გადამწოდით და მასში ჩაბერვა. დანარჩენი, ესე იგი დიაგნოზი, კომპიუტერზეა.

—საფუძველს მყავა-ტუტოვანი წონასწორობისა და კარდიოპულმონარული მაჩვენებლების კვლევის ინტერაქტიულ სისტემისა, რომელიც ერთობლივად შემოთავაზებულია ჩემ და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის იასონ გონჯილაშვილის მიერ. წარმოადგენს სპეციალური მათემატიკური მოდელი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ზურაბ ბრელიძემ—მიღებული მონაცემების საფუძველზე ეს მოდელი ოპერატიულად განსაზღვრავს ორგანიზმის მდგომარეობას იმისათვის, რომ ექიმმა შეძლოს სწრაფი ორიენტირება ავადმყოფის რეანიმაციის დროს და დანიშნოს შესაბამისი თერაპია. ამ მეთოდის წყალობით საჭირო არ არის გულის ზონდაჟის ჩატარება, სხვა გამოკვლევანი, რომლებიც ტრავმას აყენებენ ავადმყოფს და დროს მოითხოვს.

ჭილოცავთ

ნორა, მინდელ ცხვედიანებს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას. ეტარებინოს ქართველდედობის სახელი.

ნეოლინე, ილარიონ, რეზო საღინაძეები.

გულო, შოთა კოკაღიანებს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას! ღმერთმა გაგიხაროთ, გაგიმრავლოთ.

ცაგერის ავტოტექმომსახურების თანამშრომლები.

ჭილოცავთ

ანსულსაბჭოქორწინებულებს!

ქეთინო ჯანუბის ასულ ხვადაგიანს
გოჩა ასკალოს ძე მურცხვალაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. დალოცვილი ყოფილიყოს თქვენი ფუძე. შვილთა სიმრავლეს გაეხარებინოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ცაგერის სტომატოლოგიური კაბინეტის თანამშრომლები.

თამარ შოთას ასულ კოკალიანს
ტარიელ გერსის ძე თვარაძეს

გილოცავთ ბედნიერებას! გისურვებთ სიხარულს, მტკიცე, ფუძეძლიერი ოჯახის შექმნას.

სოფო ომანაძე, ნატო გურული.

სოფო ვლადიმერის ასულ გოგიძეს
ბადრი აკაკის ძე ჭოხონელიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარულის ღვთაება ყოფილიყოს ახლადშექმნილი ოჯახის მფარველი, გადაუდგმელად ირწეოდეს აკვანი თქვენს ჭერქვეშ.

რაიკოოპერატივის, პურკომბინატის, საწკვების გაერთიანების თანამშრომლები.

განცხადება

მომდინარე წლის 1 მაისიდან ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში გაიხსნება მდივან-მემანქანის ერთწლიანი კურსები, რომელიც იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე, მსურველებს შეუძლიათ განცხადებით მიმართონ სარაიონო კულტურის სახლის დირექციას

სარაიონო კულტურის სახლის დირექცია

მეუღლე ნინო, ძმა ვარლამი, ძმისწულები გულსუნდა, თემური, მერაბი, მალხაზი, მურთაზი, გელა, დისწულები ქენია, ვალოდია, ანზორ ხეცურიანები, ცისანა, რეზო ბეჟანიშვილები, ნათელა, ტარიელ კუხიანიძეები ოჯახებით, რძლები ნიურა, ცირა ნორა, თამილა მურცხვალაძეები, ჯულიეტა ზეინკლიშვილი, მარინე ყურაშვილი, წანა ფუტურიძე, სიძე ლევან გვარამაძე, შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რაჟდენ გაბრიელის ძე მურცხვალაძე.

პანაშვიდი 24, 25 IV 7 ს. გამოსვენება 26 IV 4 ს. ბარათაშვილის 6 10 (მე-6 სადარბაზო) (თბილისი.)

საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გელა ცხვედიანს მამის

აკაკი ცხვედიანის

გარდაცვალების გამო.

თაბორის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ალექსანდრე ქარსელაძეს დის და რძლის

მარიამ და ზინა ქარსელაძეების

გარდაცვალების გამო.

ტვიშის სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობის აპარატის და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან ვარდენის ძე ხმელიძე.

უჩა, აქვსენტი, ბორის, ალექსანდრე გოლეთიანები, გრიგოლ, ვალერი ბენდელიანები, რაინდი ჩხეტიანი, კირილე ჩაკვეტაძე, ანზორ, შოთა, დავით ცვარიანები, მურთაზ ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ სულიკო, ავთო ბერიძეებს მამისა და სიმამრის

გალაქტიონ საღინაძის

გარდაცვალების გამო.

ბიძინა მანდარია, გულვერ საღინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან ხმელიძე.

ტვიშის სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის აპაარატის მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანა ირაკლის ასული ჩიქოვანი.

უახლოესი მეზობლები ოთარ მუშკუდიანი, თენგიზ მინდაძე, ავერიონ, ამირან და თემურ ამბროლიანები, ბიჭიკო, იორამ აკობიძეები, თამაზ მამარდაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაზი და ბიჭიკო მამარდაშვილებს სიძის

შუქური (კიკა) ბენიძის

გარდაცვალების გამო.

ტვიშის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლიანა, ალეკო ჩიქოვანებს დედის

ანა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

საფინანსო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანა, მერაბ გუგავებს ბებიის

ანა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

ემზარ გურგუჩიანი, გელა მუშკუდიანი, პიმენ ტვილდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შუქური ბენიძე.

რაიკოოპერატივის აპარატის, საწკვების გაერთიანების, პურკომბინატის თანამშრომლები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ლია პლატონის ასული გულბანი,

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლენა, გოგუცა ყურაშვილები, გელა მამარდშავილი, ტარიელ დავითულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რაჟდენ გაბრიელის ძე მურცხვალაძე.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.